№ 45 24 აპრილი, კვირა 1866—1877 24 აპრილი, კვირა № 45

# დროება

რედაქცია
ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ამატუნის სახლებში.
ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.
კალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова.
გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.
განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერო-თი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.
თუ საჭირო იქნა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

სტამბოლი, 22 აპრილს. ოსმალეთის მმართებლობამ გამოაცხადა გუშინ, რომ მთელი შავი ზღვის ნაპირები რუსეთისა ბლოკადაში არისო, ნავსადგურებში ხომალდებს კიდევ სამი დღის განმავალობაში შეუძლიანთ შესვლა და ხუთს დღეში კი ყველა უნდა გამოვიდეს ამ ნავსადგურებიდამ.

ფოთი, 22 აპრილს. ფოთთან გამოიარა ბათუმიდამ მომავალმა ოსმალოს სამმა სამხედრო ხომალდმა, რომლიდამაც რამდენიმეჯერ ზარბაზანი ისროლეს.

ნოვოროსიისკი, 21 აპრილს. ოსმალოს შვიდი ხომალდი, რომელნიც ადლერის პირ-და-პირ გამოჩნდნენ, ისევ ზღვაში წავიდნენ.

კიშინევი, 22 აპრილს. ხელმწიფე იმპერატორი კიევიდამ მოსკოვს წაბრძანდა. ჩვენი ჯარი დაუბრკოლებლივ წინ მიდის რუმინიაში; ხალხი თანაგრძნობით უხვდება. ოსმალები ჯერ გაჩუმებულნი არიან.

ვენა, 21 აპრილს. დიდი წვიმებისა და წყალდიდობის გამო, კიშინევისა და იასსას შემაერთებელი რკინის გზა ზოგიერთ ალაგას სრულიად გაფუჭდა და წალეკა წყალმა.

ახალციხე, 20 აპრილს. გუშინ პოდპოლკოვნიკი მაკეევი უბანის ყაზახების სამასის კაცით წავიდა არდაანის ბანაკიდამ, გადაიარეს ომერ-აღა და იმავე დღეს, საღამოს, დაუბრკოლებლივ მივიდნენ ალექსანდროპოლის ატრიადის ბანაკში—ზაიმში. მეორე დღეს ეს ჯარი ისევ უკან დაბრუნდა არდაანს.

19 აპრილს. საღამოს, სოხუმსა და სოჭას შუა, შავს ზღვაზე, ადლერთან გამოჩნდა ოსმალოს ორი ხომალდი. 20-ს დილით ზღვაზე ამავე ალაგას შვიდი ხომალდი მოჩანდა.

ლონდონი, 19 აპრილს. დღეს გამოიცა კოროლევასი ვიქტორიას მანიფესტი, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ინგლისს ყველა სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილობა აქვს და რუსეთსა და ოსმალოს შუა ამტყდარს ბრძოლაში არც-ერთ მეომართაგანის მხარეს არ დაიჭერსო (ინგლისი სასტიკს და მიუდგომელს ნეიტრალიტეტს დაიცავსო).

გლადსტონმა შეიტანა პალატაში წინადადება, რომ ოსმალეთმა „დაჰკარგა ყველა უფლება ინგლისისაგან მატერიალურ ანუ ზნეობით დახმარებაზე მას შემდეგ, რაც იმან ბოლგარიაში ესეთი მხეცობა ჩაიდინაო. ყველა ინგლისური გაზეთები, გარდა ერთისა, ჰკიცხავენ გლადსტონს ამისთანა წინადადების შეტანისათვის.

ლონდონი, 21 აპრილს. მთელს ინგლისში გაცხარებული მზადებაა ომისათვის; სხვა და სხვა სამხედრო იარაღებითა და სურსათით ავსებენ ცეცხლის-გემებს და მალტას კუნძულზე და გიბრალტარში აგზავნიან.

## ომის ამბავი

### ომი რუსეთსა და ოსმალეთს შუა

ამ სათაურით ერთს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია სტატია, რომლიდამაც მოგვყავს აქ შემოკლებით რამდენიმე ადგილი:

„ამ ომში, რომელშიაც რუსეთმა იკისრა დიდი მოვალეობა, იმას მოუხდება დიდის სიძნელით ბრძოლა. რუსის ჯარები კიშინევიდამ უნდა გადვიდნენ მდ. პრუტზე და შევიდნენ რუმინიაში. მაგრამ რუმინიიდამ ოსმალეთში შესასვლელად, ე. ი. ბოლგარიაში ანუ დობრუჯაში, საჭიროა, რომ გადვიდნენ დუნაია და აი, იქ არის რუსის ჯარებისთვის უმთავრესი დაბრკოლება.

„უკანასკნელი ორასი ათასი კაცი, თავის სურსათითა და ტვირთით, გადაყვანისათვის საჭიროა ხუთი ან ექვსი ღიდრონი ხიდის გადადება მდინარეზე და ეს ძალიან ძნელია რუსებისთვის. ყველაზე წინათ უნდა მიიღონ მხედველობაში გადასავალი გზა. მთელს დუნაის სიგრძეზე, დაწყობილი სულინის ჩასართავიდან სილისტრიამდი ძნელი გადასავალი იქნება და მოძრაობა აქ დიდი ჯარისა შეუძლებელია. მდინარის ორივე ნაპირი ჭაობიანი ადგილებია და თითქმის არ არის მაგარი ფეხის დასადგმელი გზა, რომ შეეძლოს ლაშქარს მოძრაობა. მართალია, ბრაილოვთან და გალაცთან ძალიან ადვილი იყო დიდ ნავებზე ხიდის აშენება; მაგრამ კიდეც რომ გადმოვიდეს აქ ჯარი, გზის გაგრძელება ძალიან გაუძნელდებათ.

„ოსმალეთის დობრუჯა სრულებით შეუმუშავებელი ქალაა, სადაც ველური ოსმალოები აძოვებენ თავიანთ პირუტყვს. აქ არც გზებია და არც სადგომები. შეიძლება რომ რამდენიმე ათასი დონის ყაზახები თავიანთ მსუბუქი, შეჩვეული ცხენებით და რამდენიმე ბატარეით ჩუ-

## ფელეტონი

### ბოსნიელი აჯანყებულთ კრება *)

როდესაც სერბიასა და ოსმალოს შუა მორიგება მოხდა, ბოსნიელების აჯანყებულთ უმთავრესს წინამძღოლს, სერბიის პოლკოვნიკს დესპოტოვიჩს, ბრძანება მოუვიდა თავის მართებლობისაგან, რომელშიაც, სხვათა შორის, იყო ნათქვამი, რომ მორიგების პირობებში ოსმალომ სერბიას ის პირობაც ჩამოართვა, რომ მან არამცა-და-არამც არ უნდა მოუწყოს ხელი აჯანყებულებსა. ამის გამო პოლკოვნიკს დესპოტოვიჩს, როგორც სერბიის სამსახურის პოლკოვნიკს და ქვეშევრდომს ბრძანება ეძლეოდა, რომ მას თავი დაენებებია აჯანყებულთ წინამძღოლობისათვის, სრულიად მიეტოვებია ბოსნია და დაბრუნებულიყო ბელგრადში.

ეს ბრძანება დესპოტოვიჩს სწორეთ იმ დროს ჩააბარეს, როდესაც ის გლამოჩის ასაღებათ ემზადებოდა და თავის ერთ მუჭა ჯარით ტიშევის მახლობლად იდგა ბანაკად.

მიღებისათანავე წაუკითხა მან ეს ბრძანება თავის მხლებლებს, რომელთაც ის ხმის ამოუღებლად ბოლომდისინ მოისმინეს. ბოლოს, როდესაც გაათავა, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, იქ მდგომ ხალხში აქა-იქ შემდეგი სიტყვები ისმოდა: „ვაი ჩვენი ბრალი! ვაი ჩვენი და ჩვენი წვრილ-შვილის ბრალი! რაღა უნდა ვქნათ ეხლა?!“ ამ სიტყვების გაგონებამ ძლიერ შეაწუხა დესპოტოვიჩი; მოიხმო საჩქაროთ ცალკე რაზმების წინამძღოლნი და-სათითაოდ ყველა იმათგან, შემდეგი ბრძანება მისცა:

— „შენ, ჩემო სტიპო, გაგზავნე საჩქაროდ ორი ჩაფარი...... და სთხოვე საიდუმლო კომიტეტის ორთავე წარმომადგენელს, რომ მოვიდნენ ჩემთან აქ, ამ ბრძანების შესახებ, მოსალაპარაკებლად.“

— „შენ, ჩემო სიმო, ამ წუთაში გაგზავნე საიმედო კაცები ლივნაში, ვიკუპში და პეტროვცში, რომ იქ მყოფი რაზმების წინამძღოლნი აქ, კრებაზე ტიშევოში, გაჩნდნენ საჩქაროდ.“

— „თქვენა, რაზმების წინამძღოლნო, გაგზავნეთ ჯარები ბანაკში და მოდით ჩემთან, რომ მომისმინოთ რაც სათქმელი მაქვს.

არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ცალკე რაზმების წინამძღოლნი დანიშნულს დროს მოგროვდნენ ტიშევოში. აქ იყვნენ: სტიპო მარინკოვიჩი, ფრანცისკანელი ბერი ბონავენტურა, სიმო ცავკა, პავო ბაბიჩი, მღვდელი კორანი, ნინკო ბუნდალა, ბარო კრეზო და ბოლუბ ბაბიჩი. თუმცა შორი გზა ჰქონდათ გამოსავლელი, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, ბოსნიელი საიდუმლო კომიტეტის ორივე წარმომადგენელნიც მოვიდნენ; ამათი სახელების გამჟღავნება არ შეიძლება. ასე, რომ ძრიელ ცოტა ხნის განმავლობაში, ბოსნიელების აჯანყებულთ კრების წევრები სულ თავ-მოყრილნი იყვნენ.

დესპოტოვიჩმა ხელმეორეთ წაუკითხა მათ ბელგრადიდამ მიღებული ბრძანება, რომლის შემდეგაც სიტყვა, საიდუმლო კომიტეტის ერთმა წარმომადგენელთაგანმა ითხოვა:

„ამ ბრძანების შესახებ, რა გვარი გარდაწყვეტილებაც უნდა იყოს, რასაკვირველია, ჩვენ უნდა დავსდვათ; მაგრამ ჯერ მოფიქრება გვჭირს. აი, აგერ ოცი თვეა, ძმებო, ჩვენ ყველაფერს მოკლებულნი ვართ. მოკლებულნი ვართ სახურავსა და სათბურს. ოცი თვეა ჩვენი ცოლ-შვილნი, ვინ იცის, სად და როგორ დაეხეტებიან და თავს შესაფარ ადგილს სად პოულობენ; ისინი ითმენენ ჩვენსავით შიმშილს, სიცივეს და წყურვილს! ვინ არის მათი პატრონი? ოცი თვეა, რაც ჩვენი თავი მსხვერპლათ შევგიწირავს, რომ ბოლოს როგორმე განვთავისუფლდეთ ოსმალოს ბატონობისაგან. ნუ თუ ყველაფერმა, რაც აქამდისინ გვიქნია, ტყვილ-უბრალოდ და უსარგებლოდ უნდა ჩაგვიაროს? ეს ყოვლად შეუძლებელია! ჩვენ უნდა განვაგრძოთ ბრძოლა! და შენ, ჩვენო მოთავევ და ძმაო, უნდა გაგვიძღვე, ჩვენთან ერთად უნდა იბრძოლო სანამდისინ კიდევ სული გვიდგია.—ნუ მიგვატოვებ! დარჩი ისევ ჩვენ წინამძღოლად!... აი, ეს არის ჩემი სიტყვა!“

„ეგ არის ჩვენი სიტყვაც!“ შესძახეს დანარჩენებმა.

„დესპოტოვიჩი:“ ძმებო, თქვენი ბრძოლა ღვთიური მოვალეობაა, მე ეს კარგათ ვიცი; მაგრამ მე, როგორც სერბიის ქვეშევრდომმა, სალ-

*) ეს ამბავი გაზ. „პოლიტიკიდამ“ გადმოვთარგმნეთ.

მათ გადვიდნენ დუნაის სულინის და სილისტრიის ჩასართავთან. რუსის ლაშქრის შესანიშნავი გადასავალი ორ ციხეს შუა მოხდება: სილისტრიასა და ვიდდინს შუა.

„სხვა სიძნელესთან კიდევ ის არის, რომ დუნაის ოსმალეთის ნაპირები მომეტებული ნაწილი მთიანი ადგილებია, სადაც ძალიან ადვილია ბატარეების დაყენება, რომლითაც ძლიერ დაუშლიან რუსების ლაშქარს გადასვლას.

„კიდევ ერთი სიძნელე მოელისთ რუსებს, რომელიც ადრინდელ ომში არ ყოფილა; ეს ოსმალების ხომალდების სიმრავლეა დუნაიზე. როგორც ამბობენ, ოსმალოებს აქვთ აქ თექვსმეტი ჯავშნიანი ხომალდი 24 კრუპის სისტემის ზარბაზნით; რუსებს კი არც ერთი, ამ საშუალებით ოსმალოებს შეუძლიანთ, არა თუ დაუშალონ ხიდების გაკეთება დუნაიზე, არამედ ამ მდინარის ნაპირებთანაც არ მოუშვან ახლოს. შეიძლება ტორპედები (მინები) გაიყვანონ წყალში რუსებმა იმ ადგილების მახლობლად, სადაც ხიდების გაკეთებას განიზრახვენ, რომ არ მოუშვან ახლოს ოსმალოს ხომალდები; მაგრამ ოსმალოებს აქაც შეუძლიანთ ავნონ რუსებს იმ ბატარეიებით, რომელნიც დუნაის მეორე (ბოლგარიის) ნაპირზედ არის.

„მაგრამ ვსთქვათ, რუსებმა, როგორც იყო გააკეთეს ხიდები დუნაიზე, გადაიყვანეს ზედ თავის ჯარი და შევიდნენ ბოლგარიაში. ამ შემთხვევაში ოსმალოებს ადვილად შეუძლიანთ გააფუჭონ რუსების ხიდები და ამ ნაირად ჯარი დარჩება ბოლგარიაში და უკანიდამ გზა აღარ ექნება, რომ სურსათი მიუზიდონ მხედრობას. და თქვენ იცით, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ბოლგარია და რამდენათ მოახერხებს ეს აოხრებული, დალარიბებული ქვეყანა რუსეთის ჯარის რჩენას.

„უმთავრესი ნაკლულევანება რუსეთისა ამ ბრძოლაში, როგორც ხედავთ, ის არის, რომ შავს ზღვაზე იმას ფლოტი არა ჰყავს; ოსმალეთს კი ძლიერი ფლოტი ჰყავს ამ ზღვაზე. მაგრამ რუსეთს შეუძლიან თავის ბალტიის ფლოტი გამოიყვანოს აქ და მაშინ კი ბრძოლა ზღვაზედ ძალიან საეჭვო იქნება, რადგან ორთავეს ერთნაირი სამხედრო ზღვის ძალა ექნებათ.

—

— დიდი ამბები ყოფილა ს.-პეტერბურღში და განსაკუთრებით მოსკოვში ამ თვის 12-ს, როდესაც პირველად შეიტყვეს, რომ რუსეთის მმართებლობამ ოსმალეთს ომი გამოუცხადაო. როგორც ყოველთვის ამ გვარს შემთხვევაში, აქაც მოსკოვმა გამოიჩინა ყველაზე უფრო თავი: იმ დღესვე შეგროვდნენ ყველა წევრნი ქალაქის გამგეობისა და უმაღლესის მანიფესტის წაკითხვისა, ზევრის „ურა!" და „გაუმარჯოს რუსეთის იმპერატორს და ჯარს!" ყვირილის შემდეგ, ერთხმად გადაწყვიტეს, რომ მოსკოვი ერთს მილიონს მანეთს სწირავს მმართებლობას ომიანობის საჭიროებისთვისაო და, ამას გარდა, თავის ხარჯით გამართავს დაჭრილ მხედრობისათვის საავათმყოფოს, სადაც ათასი ავათმყოფი მოთავსდება.

პეტერბურღის ქალაქის გამგეობაც შეკრებილა 12-ს აპრილს და გარდაუწყვეტია, რომ ხელმწიფე იმპერატორს და დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს უფროსს და მიხეილ ნიკოლოზის ძეს, ჩვენს მთავარ-მმართებელს, თანაგრძნობისა და გამარჯვების სურვილის ადრესები მიუწერიათ. ამასთანავე დაუდვიათ, რომ ქალაქის მხრითაც შევსწიროთ ფულით და ხელის-მოწერა გავმართოთ იმ პირთათვის, რომელნიც ამ საქმისათვის რაიმე მსხვერპლის მოტანას მოინდომებენო.

მეორე დღეს მოსკოვის თავად-აზნაურობა შეკრებილა და იმათაც დაუდვიათ, რომ 30,000 მანეთი დუნაის არმიის დაჭრილებისათვის დანიშნონ და 15,000 მანეთიც კავკასიაში მებრძოლთ დაჭრილებისათვის.

მოსკოვის ხელოსნებს, აგრეთვე ომის საჭიროებისათვის, შეუწირავთ 15,000 მან. მოსკოვისა და პეტერბურღის ვაჭრებს კიდევ ხელისმოწერა გაუმართავთ ამ საქმისთვისვე ფულების მოსაგროვებლად.

რამდენსამე დიდი კაცის ქალს პეტერბურღში სურვილი გამოუცხადებიათ, რომ მომქმედ არმიაში წავლენ ავათმყოფ და დაჭრილ მეომართ მოსავლელადო.

პეტერბურღის ეკონომიურ საზოგადოებას შეუწირავს 500 მანეთი სამხედრო ლაზარეთებში ავათმყოფებისათვის საკითხავი ბიბლიოთეკის გასამართავად.

ყველა ამ შემწირველებისათვის ხელმწიფე იმპერატორს უმაღლესი მადლობის გამოცხადება უნებებია.

რასაკვირველია, რომ ამით არ გათავდება შეწირვა და მსხვერპლი ომიანობისათვის. მოსკოვისა და პეტერბურღის მიბაძვით, რუსეთის ყველა ქალაქები და ერობანი მოუტანენ ახლა რუსეთის მმართებლობას თავის შესაწირავსა და მსხვერპლს, რომ ოსმალეთთან ბრძოლაში ხელი მოუმართონ.

—

რუსულს სამხედრო გაზეთში დაბეჭდილია, რომ ევროპის ბრძოლის ველზე (დუნაიზე) ოსმალეთს ამჟამად ჰყავს სულ—263,000 კაცი, და 450 ზარბაზანი აქვსო.

აზიის ბრძოლის ველზე სულ—130,000 კაცი და 300 ზარბაზანი; ეს რიცხვი ჯარისა ასე არის განაწილებული: ყარსში—18,000 კაცი, ბათუმში—16,000, არზრუმში—10,000, ბაიაზეთში (რომელიც უკვე რუსის ჯარმა აიღო) ყოფილა—7,000, სალანლუღში 6,000, ქურთისტანში—2,000, სირიაში—20,000 მესაპოტამიაში—20,000, და არაბეთში—20,000 კაცი.

—

რუსის მმართებლობას შეუკვეთნია ლონდონში ცეცხლის საქრობი დიდი მაშინების გაკეთება. ამბობენ, რომ ეს ცეცხლის საქრობი მაშინები იმ შემთხვევისათვის უნდათო, რომ ვინიცობაა ოსმალოებმა ზარბაზნები დაუშინონ შავ ზღვის ქალაქებს და ცეცხლი გაუჩინონ, დიდი მაშინებით მსწრაფლად გააქრონო.

ერთს ნემეცურს გაზეთში („ჩრდილოეთი გერმანიის საზოგადო გაზეთი") ჩვენ წავიკითხეთ, 5 აპრილს, პეტერბურღიდამ მიწერილი კორრესპონდენცია, რომლისაც ზოგიერთი ადგილების გაცნობა უსარგებლო არ იქნება ჩვენი მკითხველებისათვისაც. „ჩვენს ორს ძლიერ კარგათ მომზადებულს და შეიარაღებულს არმიებთან, რომელნიც რიცხვით იმდენათ ნაკლები არ არიან, ვიდრე მტრის არმიები, შეგვიძლია საქმეში ვიქონიოთ აგრეთვე სპარსეთი, საბერძნეთი, ჩერნოგორია და რუმინია, რომლებზედაც, აქედამვე შეიძლება კაცმა სთქვას, რომ არც ერთი იმათგანი მტერს არ შეუერთდება თავის ჯარებით, ჩვენს წინაამდეგ.

„რუსეთმა გამოცდილებით იცის, რომ სპარსეთის არმიაზე დიდი იმედი არ შეიძლება კაცმა იქონიოს, მაგრამ მარტო ის მდგომარეობა, რომ სპარსეთის ჯარები ოსმალოს სამზღვრებზე იქნებიან დაბანაკებულნი, დიდს სტრატეგიულს მნიშვნელობას შეადგენს რუსეთისათვის: სპარსეთის ჯარის ოსმალოს სამზღვრებზე ყოფნა, უნებლიეთ ხდის ამ უკანასკნელს, რომ თავის ჯარები დაანაწილოს და რამდენიმე იმათგანი იმ სამზღვრებისკენ დააყენოს, საიდამაც სპარსეთის ჯარები დგას და აქედამ კი ის სარგებლობა გამოდის, რომ ჩვენს კავკასიის არმიას ნაკლები მოწინააღმდეგე ეყოლება."

„სრულიად დანდობა სპარსელებზე ერთობ ძნელია, მაგრამ თუ კი იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ სპარსელებსა და ოსმალოებს შუა გაუწყნარებელი, თუ პოლიტიკური და თუ სარწმუნოებითი განხეთქილება და უკმაყოფილება არის, მაშინ შეიძლება კაცმა რამე იმედი იქონიოს. ვინც რომ იცნობს სპარსეთს, იმისთვის ჯერ კიდევ ძლიერ საეჭვოთ არის, რომ იმასა და რუსეთს შუა რამე კავშირი მოხდეს. ჯერ კაცმა არ იცის—მართლა იყო ამ ორს სახელმწიფოს შუა რამე მოლაპარაკება ამის თაობაზე, თუ არა. და რადგან ოსმალომაც სრულიად არაფერი არა იცის რა ამის შესახებ, ამისათვის ის იძულებული იქნება ჯარები გაგზავნოს იმ სამზღვრებისკენ, საიდამაც სპარსეთს შეუძლია შემოვიდეს მისს სამფლობელოში."

„ბალკანიის ნახევარკუნძულის შესახებ კი უფრო ნამდვილი ცნობები გვაქვს. რუმინია, მიიღებს თუ არ მიიღებს ნეიტრალურ მდგომარეობას, სულ ერთია, ის მაინც არაფერში არ შეგვიშლის ხელს. და ვინ იცის, ოსმალომ ეგების თავიდამვე ისე წაიყვანოს საქმე, რომ რუმინიის ჯარე-

---

დათმა, უნდა დავემორჩილო ჩემი უფროსის ბრძანებას."

ყველა: „დარჩი, გაგვიძეხ, ვიბრძოლოთ!..."

—დესპოტოვიჩი. „ძმებო, ყველაზე უმალ წინამძღომელს უნდა ახსოვდეს მორჩილობის ვალი და ამიტომაც მე ვემორჩილები ბრძანებას... მე ამიხდია იარალი და ბოსნიის აჯანყებულთ წინამძღომლობაზედაც ხელი ამიღია. თქვენ კი გრჩებათ...."

—ყველა. „ჩვენ ისევ განვაგრძობთ ბრძოლას..."

საიდუმლო კომიტეტის უფროსი წარმომადგენელი. „არა, ძმებო, ეგრე არ უნდა! არ უნდა ეგრე! გამიგონეთ, რა გითხრათ: ჩვენ რა გვრჩება, ან ამის შემდეგ რა უნდა ვქნათ,—ამის გარდაწყვეტა არც ჩვენს მოთავეს შეუძლია, არც ცალკე რაზმების წინამძღოლთ და არც ჩვენ საიდუმლო კომიტეტის წარმომადგენელთ. ეს თავათ მეომრებმა, აჯანყებულებმა უნდა გარდაწყვიტონ. ამიტომაც, მე გთხოვთ რომ დაბრუნდეთ თავ-თავის ადგილას; უამბეთ თქვენ ხელ-ქვეითებს რაც სერბიას ამბავი მოსვლია; ჰკითხეთ—ჩვენ როგორ მოვექცეთ სერბიას, რისი ღირსია ის ჩვენგან და დაბრუნდით იმათი პასუხით აქვე, რომ შემდეგ გარდავწყვიტოთ—თუ როგორ მოვიქცეთ, ან რა გზას დავადგეთ."

— დამიან დქერიცა. „ტყუილ-უბრალო იქნება, ძმებო, ჩემი წასვლა და ჩვენი ხელ-ქვეითების ჰკითხვა—თუ მათ რა ჰსურთ? მე ვიცი მათი გარდაწყვეტილება. უკანასკნელი სისხლის წვეთამდინ ბრძოლა! აი მათი გარდაწყვეტილება!"

— მღვდელი ილია ბილბია. „ვფიცავ ღმერთს, რომ ჩემ ხელ-ქვეითებსაც უკანასკნელი სულის ამოსვლამდინ ჰსურთ იბრძოლონ."

— ბონავენტურა (ბერი). არც ერთს ჩემს მეომრებთაგანს არ უნდათ დაჰყარონ თოფ-იარაღი, სანამ ჩვენს სამშობლოდამ ოსმალოები განდევნილნი არ იქნებიან."

— ყველა. „ყველას ეს სურს. სიკვდილამდინ ბრძოლა გვინდა! ყველას გვინდა ჩვენს სამშობლოს თავი ვამსხვერპლოთ!."

— „მაშ თქვენ, ცალკე რაზმების წინამძღოლნო გვარწმუნებთ, რომ თქვენს რაზმებს უნდათ განაგრძონ ბრძოლა? ჰკითხა მათ საიდუმლო კომიტეტის უფროსმა წარმომადგენელმა.

— ყველა. „გარწმუნებთ! გარწმუნებთ!"

— წარმომადგენელი (დესპოტოვიჩს) „შენ თვალ ხედავ, რომ მეტი სჯა აღარ გვჭირია? დარჩი ჩვენს შორის და გაუძეხ ბოსნიელების აჯანყებულთ ისე, როგორც აქამდისინ. კრების საიდუმლო კომიტეტის და ხალხის სახელით და მონდობილობით გთხოვ ნუ მიგვატოვებ!"

— დესპოტოვიჩი. „ძმებო, გამიგონეთ! ამ სამი დღის წინათ, მომივიდა თუ არა სერბიის მმართებლობის ბრძანება, მე მაშინვე ავიხადე სერბიის პოლკოვნიკის წოდება და მოვშორდი იმის ქვეშევრდომობისაგან. დღეს, ამის შესახებ, ჩემი წიგნი სერბიის მმართებლობის ხელში უნდა იყოს. დღეს, მაშასადამე, მე თავისუფალი ვარ და განთავისუფლებული ვსდგები თქვენს რაზმში, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ ვიომო თქვენთან ერთად ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ოსმალოს კლანჭებისაგან!..."

განუწყნარებელი „გაუმარჯოს!" ყვირილი მოეფინა იქაურობას. მათს საზოგადო აღტაცებას და სიხარულს გარს შემორტყმული მთებიც კი დაჰხაროდნენ და ბანს ეუბნებოდნენ. ცალკე რაზმების წინამძღოლთა იქვე შეჰფიცეს დესპოტოვიჩს, რომ ისინი ხმის ამოუღებლათ დაემორჩილებიან მას და მიჰყვებიან სადაც კი გაუძღვება.

დილის რიჟრაჟი დაიწყო, რომ ბოსნიელი აჯანყებულნი, რომელთაც ამ საზოგადო გარდაწყვეტილებაში მონაწილეობა მიიღეს, კიდევ მინდორზე, ცეცხლის გარშემო ისხდნენ და ღვინით სავსე თასებს ერთმანერთს აწოდებდნენ ამ სიტყვებით: „უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ!... უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ!..."

ასე გათავდა ბოსნიელი აჯანყებულების ერთ-სული და ერთ-გული ფიცი თავის სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

—

ბი რუსებისას შემოუერთდეს... ჩერნოგორია, ყველამ იცის რომ ტყვილ-უბრალოთ მაყურებლად არ დარჩება ამ ომში. მაშასადამე ოსმალოამ ჩერნოგორიის მხრითაც თავის დასაცველი საშუალება უნდა იხმაროს, — ჩერნოგორიის მომხრე სამზღვრები უნდა გაამაგროს. ამ მიზეზით ჩვენს სამხრეთ არმიასაც მოწინაალმდეგე ჯარების რიცხვი უმცირდება.—

„უველა ამათზე დიდს ინტერესს ჩვენთვის ის შეადგენს—თუ საბერძნეთი რა მდგომარეობაში იქნება ამ ომის დროს. საქმე იმაში კი არ არის-თუ იქ რას ილაპარაკებენ, არამედ იმაში-თუ რას გააკეთებენ ან რის გაკეთებას გაჰბედამენ.—როგორც თვით ხალხის ხასიათიც გვარწმუნებს, ბერძნები მაშინვე და გამოჩენილათ არ გაერევიან საქმეში... რუსეთისათვის, ამ თავით, საბერძნეთის ეგრეთი განუსამზღვრელი მდგომარეობაც სასარგებლოა, რადგან ოსმალო იძულებული იქნება, თავის სამხრეთი სამზღვრების დასაცველათაც, ჯარები გაგზავნოს.“

— ნემეცკურ. „კელნის გაზეთში“ იწერებიან ლონდონიდამ, რომ ამ დღეებში აქ, დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ, მცირე აზიიდამ დაბრუნებულა ერთი მოგზაური და სხვათა შორის ის ამბავიც მოუტანია ლონდონში; სპარსეთში ამ ჟამათ აჩქარებული მზადება არის ჯარებისაო; სპარსელები არ მალავენ, რომ რუსეთთან შეერთების განზრავა აქვთო. „ამ შეერთებით რუსეთისათვის ძრიელ ადვილი იქნებაო, რომ ქალ. ვანით და არზრუმით ტრაპეზუნამდინ მივიდეს და აქედამ, შემდეგ, დასავლეთისაკენ დაეშუროსო“.

— სტამბოლიდამ ერთს ვენის გაზეთში იწერებიან, რომ ამ დღეებში აქ მოელიან ნიუ-იორკიდამ 30-ათას თოფს და 40 მილიონს სასროლს (პატრონს).

---

## სამხედრო ძალა

საჭიროდ ვრაცხთ უფრო დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველები ოსმალოს სამხედრო ძალას და იმ სახელმწიფოებისასაც, რომელთაც შეიძლება რაიმე მონაწილეობა მიიღონ ამ რუსეთსა და ოსმალოს შუა ატეხილს ომში. ეს ცნობები უმეტესს ნაწილად ნემენ. გაზ. „პრესსიდამ“ ამოგვაქვს.

მთელის ოსმალოს მეომარ ლაშქარში (არმიაში) ამ ჟამათ შვიდი კორპუსი ითვლება.

პირველს კორპუსში (გვარდია), რომელიც სტამბოლში დგას და რომლის სარდალიც ჰუსნი-ფაშა არის, ირიცხება 115,800 კაცი 4200 ცხენით და 182 ზარბაზნით.

მეორე კორპუსი დგას შუმლაში; მისი სარდალია ახმედ-მიუბ-ფაშა. ამ კორპუსში ირიცხება 72,000 კაცი, 2888 ცხენით და 96 მინდვრის და 1,254 ციხის ზარბაზნებით.

მესამე კორპუსი დგას ალბანიაში, ძველს-სერბიაში, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. ალბანიის ნაწილის სარდალი დერვიშ-ფაშაა*), ჰერცოგოვინის კი სოლიმან-ფაშა; შეიცავს: 96,355 კაცს 2880 ცხენით და 96 მინდვრის და 741 ციხის ზარბაზნებით.

მეოთხე კორპუსის უმთავრესი ბანაკი არზრუმშია; სარდალი ახმედ-მუხტარ-ფაშა. რიცხვი—70,621 კაცი 2880 ცხენით და 96 მინდვრის და 572 ციხის ზარბაზნებით.

მეხუთე კორპუსი ბინათ დგას დამასკში. სარდალი არის აზიფ-ფაშა; შეიცავს-69,538 კაცს 2880 ცხენით და 96 მინდვრისა და 149 ციხის ზარბაზნით.

მეექვსე კორპუსი — ბაღდადში დგას (ეს კორპუსი შედგენილია მესოპოტამიიდამ მოწვეული ოტრიადებით); მისი სარდალი აბდულ-აზმათ-ფაშაა; რიცხვით 21,535 კაცია 144 ცხენით და 94 მინდვრის ზარბაზნებით.

მეშვიდე კორპუსი, რომელიც იემენში (არაბეთში) დგას და რომლის სარდალიც მუსტაფა-აზიმ-ფაშაა, შესდგება, 16,238 კაცისაგან და 46 არტილერიის და 214 ციხის ზარბაზნისაგან.

ოსმალოს სერასკირიატის (სამხედრო სამინისტროს) სიიდამ სჩანს, რომ მთელი ოსმალოს ლაშქარი, ყველა რომ გამოიყვანონ, შესდგება სულ 1.306,879 ქვეითი და 24,150 ცხენოსანი ჯარი. მხლანდელს მომქმედ ლაშკარში—502,700 კაცი ირიცხება; ამათ შორის: 485,700 ქვეითი და 17,000 ცხენოსანი ჯარი; 644 მინდვრის, 88 მთის და 2,932 ციხის ზარბაზანი.

*) სტამბოლიდამ მოსული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ დერვიშ-ფაშა სალონიკში წასულა და მის მაგიერ ალბანიის ჯარის სარდლათ დაუნიშნავთ მელი-საიბ-ფაშა.

---

# საქართველო

## დღიური

*** ბუშინ წინ, ოთხშაბათს, ჩვენს ქალაქში ჩამოიყვანეს 25 ტყვე ოსმალო, რომელნიც, როგორც ამბობენ, ახალციხის სამზღვარზე დაუჭერიათ. მთელი ქალაქი დაედევნა ამათ, როცა ქუჩებში ჩამოატარეს; ქალაქის ბიჭებმა თითქო ლუკმაპური იშოვნეს, ისე კუდ-მოგლეჯილი და კიჟინით მისდევდნენ. მაგრამ სასიამოვნო იყო ის, რომ ერთსაც არ მოუფიქრნია რაიმე შეურაცყოფა მიეყენებია ამ უბედურებისათვის; ყველანი თანაგრძნობით შესცქეროდნენ და ზოგიერთებმა პაპიროზიც კი უთავაზეს.

როგორც ზევით მოგახსენეთ, სულ 25 კაცი იყო; ამათში სამი აფიცარი და დანარჩენი უბრალო სალდათები. ესენი ამოიყვანეს სოლოლაკში (აფიცრები დროჟკებით), ადგილობრივ ჯარის შტაბში შეიყვანეს, იქ ჩასწერეს და მერე ისევ წაიყვანეს, ალბათ სადმე ყაზარმაში დასაყენებლად.

*** თფილისის ქალაქის კომიტეტი, რომელიც ზრუნავს დაჭრილ და ავათმყოფ მეომართათვის, აცხადებს რომ ამ კეთილ საქმისათვის რისამე შეწირვა ჰსურს, უნდა მიმართოს კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს დეპარტამენტში ჩინოვნიკს კუზმა ივანეს ძეს მულინს და იქ შეუძლიანთ ხელი მოაწეროს.

თავის მხრით გაზეთის „კავკაზის“ რედაქციაც აცხადებს, რომ „წითელი ჯვრის საზოგადოების“ სასარგებლოდ ფულების შეწირვა ხსენებული გაზეთის რედაქციის კანტორაში შეიძლებაო, და შემწირველთა სახელი და გვარი, ვინც მოისურვებს, გაზეთში იქნება გამოცხადებულიო.

*** გნებავთ „გრძნობით აღსავსე და სისხლის მელნით“ დაწერილი სტატია წაიკითხოთ? ყური დაუგდეთ და კარგათ გაიგონეთ ეს გახლავთ „ივერიის“ მოწინავე სტატია, ანუ, როგორც თვითონ ეძახიან „სახელმძღვანელო“ სტატია, დაწერილი ომის გამოცხადების გამოისობით:

„თფილისი, 21 აპრილს

„ასტყდა ომი!...ამის მსმენელს გული თავის ადგილ აღარ აქვს. ომი სისხლის ღვრაა, ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადმიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა. გული სწუხს და იტანჯება როცა ეს აგონდება. თუმცა ეს ასეა, მაგრამ რა რიგს მედიდურს, დიდებულს სანახაობას წარმოგვიდგენს ხოლმე ის სურათი, როცა თავ გაწირული ერი აზღვავებულია ამხედრებულია, თავისის პატივის, თავისის ღირსების, თავისის ვინაობის და თვითების დაცვისათვის. მაშინ გულს ავიწყდება სიკვდილის მეხიც და სიცოცხლის სიტკბოებაც, მაშინ კაცი გმირია; მაშინ გული ძგერს სულგრძელებისათვის, ვაჟკაცობისათვის, პატიოსნებისათვის. საყოველდღეო ჭუჭყი საყოველდღეო ცხოვრებისა შორდება კაცსა და კაცი კაცად გამოდის მოედანზედ ან სახელოვანის სიკვდილისათვის, ან პატიოსანის სიცოცხლისათვის. რამოდენად უფრო მედიდურია, უფრო დიდებულია, როცა ერი ამხედრდება და თავსა სდებს სხვა ერის დასახსნელად, სხვა ერის საფარველად!....აქ მარტო კერძოობითი გრძნობა კი არ იტაცებს ადამიანის გულს, არამედ გრძნობა საერთო კაცობრიობისი, რომელსაც, როგორც ზღვას მდინარენი ესე მიერთმევიან ხოლმე კერძოობითი გრძნობანი ადამიანისა

დღევანდელს ომს ეს გულის ალმტაცი, ეს ზოგადი ღვთაებრივი კაცობრიობის გრძნობა მიუძღვის წინ.

დღეს საომრად გამოსულს მხედრობას ეს უწერია დროშაზედ: „ჩაგრულთა დასახსნელად და მჩაგვრელთა შესაკავებლად ამიღო ხმალიო ხელმწიფე იმპერატორმა“. ამაზედ უმშვენიერესი, ამაზედ უპატიოსნესი, ამაზედ უწმინდესი საგანი ბევრჯელ არა ჰქონია ომსა. ადამიანის სულგრძელებას უკეთესი საზრდო აღარ უნდა, ადამიანის თავ-გამომეტებულს მხნეობას უკეთესი ჯილდო.

სიცოცხლე შეწირული დევნულთათვის სახელოვანია, სისხლი დაღვრილი ჩაგრულთათვის წმინდაა!....“

რა კარგია! რა მშვენიერი რიტორებაა! რა ღრმა გძნობით არის დაწერილი! მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ სტატიაში ერთი, მხოლოთ ერთი შემცდარი ჰაზრია: ერი ერს უცხადებს ომსაო! სემინარიაში კურს დაუსრულებელმაც კი იცის, რომ ახლანდელს დროში, ერი ერს კი არა, ხელმწიფე ხელმწიფეს, მმართებლობა მმართებლობას უცხადებს ომსა!

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამას წინათ იქ ერთი უცხო ქალაქის მცხოვრები გარდაცვლილა და როდესაც იმის დასაფლავებაზე მივარდნილა საქმე, მღვდელს მიცვალებულის პასპორტი მოუთხოვნია. რადგან მიცვალებულს პასპორტი არა ჰქონია, მღვდელი არ უპირებდა თურმე დამარხვას; ბოლოს ამ საქმეში პოლიციამ მიიღო მონაწილეება და როგორც იყო მიცვალებული დაასაფლავესო.

*** თელავიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ამ თვის 11-ს იქაური უეზდის უპრავლენიაში ყოფილან მოწვეულნი ყველა ის თავად-აზნაურნი, რომელნიც ამას წინათ გამოაცხადეს სურვილი დ. მ. კავკასიის ნამეტნიკთან ცხენონათ და ჯარად წასვლისა. ეს სურვილი ახლაც გამოაცხადესო გვწერს ჩვენი თელაველი კორრესპონდენტი, მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ მოხალისეებთგან ნაწილ ამათგანს სილარიბე ნებას არ აძლევსო, რომ ხეირიანი ცხენებითა თოფიარაღითა და ტანთ საცმელით გამოწყობილნი წავიდნენო.

*** მომავალ ორშაბათს თფილისის ქალაქის რჩევაში შემდეგ საგნებზედ იქნება მოლაპარაკება: ა) ქალაქის გამგეობის მოხსენება ლეჩებნიცაში (საავათმყოფოში) ექიმის დანიშვნის შესახებ; ბ), მოხსენება ქალაქს გამგეობისა აუქციონის კამერის ინსტრუქციით (დარიგებით); გ), მოხსენება ქალაქის გამგეობისა 150 მანეთზე, რომელიც შუშის ქალაქის ექიმმა შესწირა ქალაქს სახელოსნო სასწავლებლის სასარგებლოდ; დ) მოხსენება გამგეობისა ნავთლუღის მიწის იჯარით გაცემაზედ და ე) მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ქალაქმა მესჩანების უპრავას 2002 მანეთი ასესხოს.

*** თელავიდამ გვწერენ, რომ მოკლე ხანში გაუქურდავთ იქაური ექიმი უ. მინკევიჩი; ქურდებს თითქმის ყველა სახლის ავეჯილობა გაუტანიათ და, როგორც ამბობენ სამოცი თუმანი ფულიც. ეხვი ექიმის მოსამსახურეზედ არისო, რომელსაც მთელი ღამე უძებნია თურმე იმ დღეს პოლიცია, რომ ეს ამბავი შეეტყობინებია, მაგრამ ვერ უპოვნია, მხოლოდ განთიადისას უნახავთ პრისტავი.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 12 აპრილს. თელავის სამომალაქო ფულიდგან სხვა და სხვა საჭიროებისათვის არის დადებული გარდაწყვეტით წლის სამყოფი ფული: მათ შორის ირიცხება თვით ამ ქალაქის ღამით განათებაც. ვის აბარია, ანუ ვის განკარგულებაში არის ამ უკანასკნელს საგანზედ დანიშნული ფული, არ ვიცით; მხოლოდ ვხედავთ, რომ დილით ერთი პოლიციის მდაბალი მოსამსახურეთაგანი ყვლის ფარნებს და ლამპის მინებს სწმენდავს.

ფარნები არიან გამართულნი თითქმის ყოველს ქუჩებში; მაგრამ ყოველს ბნელს ღამეს კი არ ანათებენ მათ, და ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ამ სიბნელის გამო რომელნიმე პირნი შედიან უსიამოვნებაში და ზარალში. მაგალითად თვით მე სამი კვირის წინათ მოვდიოდი ბნელს ღამეში ბაზრიდგან და რადგან სიბნელის მიზეზით ვერ დავინახე ბულვარის პირში დადგმული ფარნისათვის ხის ბოძი, შევაჯახე ზედ თავი და წავიქეც. ეს შეჯახება მარტო თავის გატეხით არ გათავდა: გამიტყდა იმ დროსვე რომით სავსე ბოთლი, რომელიც მეჭირა ხელში.

ადგილი სადაც მოხდა ეს შემთხვევა, არის თითქმის შუა გული ქალაქისა, სადაც დღე და ღამ უკლებლივ მიდის-მოდის ხალხი, და თანამდებობის პირნიც ყოველთვის ჰხვდებიან ამ ადგილს. აქ რომ ყოველს ნაბიჯზედ ჰხედვენ აღწერილს უწესოებას და ხმას არ იღებდნენ, მაშ რაღა უნდა ვიფიქროთ იმ ფარნებზედ, რომელნიც ამ ადგილზედ მოშორებით და მიყრუვებულს ქუჩებში არიან? ვსთქვათ, მაგალითად, ა—იანთ უბანი იქ სულ ვერ ჰხედებიან „ტუზები“ და იმ უბნის ხალხმა სულ ბნელაში უნდა იაროს და რომის ბოთლები ამტვრიოს ჩემებრივ. მაგრამ იქნება ამ უბნისათვის არცკი იყოს დაწესებული ღამით ქუჩებას

განათება? ეს მე გამომყავს აქიდგან, რომ იქ ვხედავთ მხოლოდ ფარნებისათვის დადგმულს ბოძებს, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ უ. ღუბერნატორის თელავში მოსვლის დროს ჩამოამწკრივეს ტყუილ-უბრალოთ და ჩვენ კი ჯერ იქ ფარნები ღამე განათებული ქუჩები არ გვინახავს.

ერთს ახირებულს შემთხვევას მოგახსენებთ, რომელიც ამას წინათ მოხდა ჩვენკენ:

სოფელს ა—ში სცხოვრებს საკმაოდ მდიდარი გლეხი გ——ძე. პური ღვინო და ფულიც ბევრი აქვს და სიმდიდრეც ეს არის. პურსა და ღვინოს, შეიძლება ვსთქვათ, ჰხმარობს რიგიანათ; მაგრამ ფულის მოხმარება კი, როგორც ამტკიცებს ქვემოთ აღწერილი მისი უგუნურება, არ სცოდნია.

რავდენიმე თვის წინათ გ—ძეს საჭიროებისათვის უნდოდა სამი თუმანი ფული. თუმცა იმ დროს მას სახლში ბევრი ფული ჰქონდა, მაგრამ რადგანაც სულ მსხვილი ბილეთები იყო, სახელდობრ ათ თუმნიანები, ამისთვის იმან არჩივა, რომ სხვაგან ეშოვნა ეს ფული სესხობით და ათ თუმნიანი არ დაემტვრივნა წვრილათ.

გ—ძე მივიდა ფულისათვის თელაველს ი. ს—თან და მან აღუთქვა ფულის მიცემა. დაიწერა თამასუქი. მაგრამ ფულის მიცემის დროს მან მოსთხოვა მოვალეს გირაო; და რადგანაც გ—ძეს ვერცხლეული არა ჰქონდა რა, ამისათვის ამოიღო ჯიბიდგან გაქონილი ხელცახოცი, რომელშიაც ჰქონდა შეხვეული ათ თუმნიანები, მოაკლო იმათ ერთი, მისცა ს—ს და უთხრა: „ალავ! აი ეს ერთი ქაღალდი იყოს შენთან, მანამ შენს ფულს დაგიბრუნებდე და არ დამიკარგო—კი."

ს—მა ჩამოართო ათ თუმნიანი ბილეთი და მისცა სამი თუმანი თამასუქით ჩვეულებრივის სარგებლით, სამის თვის ვადით.

შემდგომ ამისა ს. შეუდგა თფილისის გზას და იქიდგან მოიტანა გ—ძის ათი თუმნით გასასყიდი ფარჩა-ფურჩა. ეს ფული ამუშავა ს—მ ვაჭრობაში სრულს ოთხს თვეს და, თუ ერთი-ორათ არა, ერთ ნახევრათ მაინც-და-მაინც გარდააქცია. ბოლოს წავიდა მოვალესთან, დაუბრუნა ათი თუმანი და გამოართო სამი, ოთხის თვის სარგებელით.....

„ფლავი ვის უნდა, იშტა ვისა აქვსო"—ნათქვამია. ფული უშოვია და მოხმარება კი არ იცის. როგორ მართალნი არ არიან სომხები, როცა ამბობენ, რომ „ქართველმა ფულის ყადრი და მოხმარება არ იცისო!"

ა. შ.

---

**ქიზიყი,** 10 აპრილს. მშვენიერმა გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმამ, რომელიც ამ წინა დღეებში იყო აქეთკენ, კარგათ გაამძლო ჩვენი მწყურვალი ადგილები, ჯერ-ჯეროზით საზოგადოთ მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჭირავს და ბოლოს კი ღმერთმა უწყის.

აქაური სახნავ-სათესი მინდვრები ძლიერ ნაყოფიერია, რომ წყალი ჰქონდესთ, მაგმამ ზოგან იგეთი ადგილებია, რომ მთელი დღე ივლის კაცი და დასალევ წყალს ვერსად შეხვდება. ამიტომაც სულ იმისი მოწადინენი არიან ქიზიყელები, რომ ამათ სახარას მსგავსს მინდვრებზე მუდამ წვიმა და წვიმის წყალი მიჩანჩქარებდეს.

არამცთუ მინდვრად, სოფლათაც იშვიათი საშოვარია ზოგან აქ წყალი. მდინარეს რუს სრულიად ვერ ნახავს კაცი; მარტო ალაგ-ალაგ პატარა წყაროები გამოწანწკარებენ და ესენიც კარგ მანძილზე არიან დაშორებულნი ზოგ-ზოგ სოფლებზე. ამ შორეული წყაროებიდამ წყლის ზიდვა სულ დედაკაცებზე არის დამოკიდებული. დილით ადგებიან თუ არა, უნდა გადაჰკიდონ კოკები ვირზე, გაიგდონ წინ და წყარომდინ სულმოუქმელად „აჩი აჩით!" უნდა მიერეკებოდნენ. წყაროზე რამდენიმე დედაკაცები ერთად შეიკრიბებიან სხვა და სხვა სოფლებიდამ; ყველა ცდილობს ერთმა მეორეს დაასწროს კოკების ავსება რომლის გამოც ხშირად მოხდება, დედაკაცებს შორის ჩხუბი და კოკების რახა-რუხი. თუმცა ყოველივე შრომა და გასჭირლობა ღირსია ქებისა; მაგრამ როგორლაც უნებურად გეცინება და ხან გებრალება კიდეც, როცა ხედავ, რომ თავმოწონე და ლამაზად მორთული ქალი ვირს უკან მისდევს. ბევრ დედაკაცს უმღერნია გუნებაში, როცა ვაჯავრებული წასულა წყალზე ეს პატარა ლექსი:

„რა ვქნა რაუყო თავსაო,
მემრე პატარა ქმარსაო?
არც შეუძლიან მარჩინოს,
და არც მანებეს თავსაო?

ორი დღის მოყვანილი ვარ;
ეხლავ წყალს მაზიდვინებსა,
სახელია თუ სირცხვილი—
ამას ის არ ეძიებსა"! და სხ.

ამნაირად, უწყლობა აქაური ხალხისათვის თითქმის ჩველაზე უფრო მძიმე და დამაბრკოლებელი გარემოებაა და ქიზიყელები მთელი გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის განმავალობაში მუდამ იმის ფიქრსა და შიშში არიან, რომ ვაი თუ წვიმა არ მოვიდეს დროზე და ჩვენი წლიური საკვები ნამუშავარი წაგვიხდესო.

ველირსებით განა ამ ჩვენ აქ როდისმე არხის გაყვანას, რომ ხალხი მუდამ ამ წვალებაში, განსაცდელში და შიშში არ იყოს ჩავარდნილი?!

მ. ონელი

---

# უცხო ქვეყნები

## საბერძნეთი

ოფიციალურის ცნობებიდამ სჩანს, რომ **საბერძნეთის ლაშქარში** ირიცხება: 29 შტაბის აფიცრები, 82 ინჟინერი, 736 არტილერისტი, 370 ცხენოსანი, 10,351 ქვეითი ჯარი; ამას გარდა 1,606 ჟანდარმი და 149 კაცი მოსამსახურე კამანდისა. უმეტესს ნაწილს ამ ჯარისას შეადგენენ: ალბანელები, ფრანცუზები, ნემენცები და საზოგადოთ უცხო ქვეყნელები. საბერძნეთის ფლოტის ანუ იმის ზღვის ძალას შეადგენს 14 ხომალდი, 269 ხომალდის აფიცერი და 384 სალდათი

## სპარსეთი

**სპარსეთის ლაშქარში** 105,000 კაცი ითვლება. აქედამ 5,000 კაცი არტილერიას შეადგენენ, 70,000 ქვეითს და 30,500 ცხენ. ჯარს.

მაგრამ ამ 105 ათასი კაციდამ ნამდვილ სამსახურში ითვლება მხოლოდ 30 ათასი კაცი, ხუთი არტილერიის ბატარეა 1,500 კაციანი, სამოცი ბატალიონი ქვეითი ჯარისა-სული 18 ათასი კაცი, 10 ათასი ირეგულიარული ცხენოსანი ჯარი და 500 კაციც რეგულიარული. დანარჩენი ჯარი კი რეზერვის ჯარს შეადგენს. ეს რეზერვის ჯარი მშვიდობიანობის დროს თავიანთ ოჯახებში, სოფლად არიან და არ ემორჩილებიან სამხედრო დისციპლინას.

---

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**სამშაბათს:** ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

**ოთხშაბათს:** ლისიცევი—შიაგანი-ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირგიულისთვის.

**შაბათს:** ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფი. ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

---

## „დროების" ფოშტა

— ნ—ს, ნ. ქ—ს. იწერებით, რომ ლექსები გამოგვიგზანეთ—„მწუხარებაცოლისა ქმრის საფლავზედ" და „ქმრის პასუხი საფლავიდგან", ეს არ დავბეჭდეთ და სხვას კი რალაცაებსა ვბეჭდავთ. ალბათ ეს „სხვა რალაცაები" თქვენ სააქაო-საიქაოს შუა ლექსით მიწერ-მოწერას სჯობია, ჩვენის ჰაზრით, და იმიტომ ვბეჭდავთ.

— თ—ს, ა. შ—ს. ჩვენ მივიღეთ ყველა თქვენგან გამოგზავნილი სტატიები; მაგრამ ყველა ღირსეულად ვერ ვნახეთ და იმიტომ არ დაიბეჭდა. იმ საგანზე, თქვენ რომ გვკითხავთ, ცალკე წიგნს მიიღებთ.

კ—ს, დ. ს—ს. ვეიკვირს თქვენ რად ირჯებოდით? ვისაც ის საქმე პირ-და-პირ შეეხება, შეუძლიან იმან მოიწეროს პასუხი და ჩვენც ამ შემთხვევაში ვალდებული ვიქნებით დაუბეჭდოთ ეს პასუხი.

— ქ—ს, ბ. კ—ს. ნუ შეწუხდებით. მაგ საგანზე ჩვენ ორი ჩინებული სტატია და ნამდვილი მოთხრობა გვაქს რედაქციაში, მაგრამ იმათი დაბეჭდვა, საუბედუროთ, ვერ მოხერხდა, ჩვენგან დაუმოკიდებელი მიზეზის გამო.

— ბ—ს, ქ. ხ—ს. ბრძოლის ასპარეზის კარტის გამოცემას ვცდილობთ, თუ მოვახერხეთ.

— ა—ს, ლ. ბ—ს. უფრო ხშირად და უფრო ახალი ამბები მოიწერეთ ხოლმე განდედამ.

— ქ—ს, პ. მ—ს. გაზეთი გავგზავნეთ თქვენგან შემოთვლილის ადრესით, მარსელში.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია. | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.
ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 5 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.
გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 17 აპრილს | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 271 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 178 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 176 | 25 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 79 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 497 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 185 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 712 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 265 | — |

### მაზანდა

| თფილისი, 23 აპრილს | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 95 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 60 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 20 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | 70 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 90 |
| სპირტი, ვედრო. . . | 8 | — |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 50 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 30 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | 56 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Апрѣля 1877 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.